ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი 20 თებერვალი 2013 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 88-ე მუხლის შესაბამისად:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების მიზნით მოწვეულ იქნეს დამოუკიდებელი აუდიტი.

2. დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევა მოხდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რომლის განხორციელება დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას (კონსტანტინე შარაშენიძეს).

3. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქ.№14).

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer